# ივერია

№ 176 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 176


**გაზეთის ფასი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 | თვით | 10 მ. — კ. | |
| 11 | ,, | 9 ,, 50 ,, | |
| 10 | ,, | 8 ,, 75 ,, | |
| 9 | ,, | 8 ,, — ,, | |
| 8 | ,, | 7 ,, 25 ,, | |
| 7 | ,, | 6 ,, 50 ,, | |
| 6 | ,, | 6 ,, — ,, | |
| 5 | ,, | 5 ,, 50 ,, | |
| 4 | ,, | 4 ,, 75 ,, | |
| 3 | ,, | 3 ,, 50 ,, | |
| 2 | ,, | 2 ,, 75 ,, | |
| 1 | ,, | 1 ,, 50 ,, | |

**წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

---

წელი-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია“

პირველ მკათათვიდამ წლის დამლევამდე ჰღირს . . . . 6 მან.
„ მარიამობისთვიდამ წლის დამლევამდე . . . . . 5 „ 50 კაპ.

ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისა, სტუდენტებისა და ხელოსნებისათვის ჰღირს:

პირველ მკათათვიდამ წლის დამლევამდე ქალაქში . . . . . 2 მან. 75 კაპ.
„ „ „ „ ქალაქ გარედ . . . 3 „ 50 „
„ მარიამობისთვიდამ წლის დამლევამდე ქალაქში . . . 2 „ 50 „
„ „ „ „ ქალაქ გარედ . . 3 „ —

გაზ. „ივერიის“ **კანტორა** ყოველ-დღე ღია არის—დილის 9 საათიდამ 3 საათამდე და საღამოს 5 საათიდამ 8-მდე; კვირა და უქმე დღეს—12 საათ. 2 საათამდე.

## ხელის-მოწერა მიიღება:

**ტფილისში:**—„ივერიის“ რედაქციაში (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურთა ქარვასლა.)

**ქუთაისში:**—წიგნ. გამომც. ამხანაგობის კიოსკში, ბეჟანიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

**ბათომში:**—ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში და ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.

**საბურჩაში:**—პეტრე მაჭავარიანთან.

**შორაპანში:**—პართენ ნასიძესთან.

**განჯაში:**—სოფრომ კანდელაკთან (სადგურზედ).

**გორში:**—ანტონ კასრაძესთან.

განცხადება პირველ გვერდზედ—15 კაპ. სტრ., მეოთხეზედ—10 კაპ., მთელი გვერდი გაზეთისა—ცალკე მორიგებით.

**საფოსტო ადრესი:** Тифлисъ, Редакція „Иверія“.

---


## კერძო სამკურნალო

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9, მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დ ი ლ ი თ:**

**ა. ნ. დიასამიძე.** 11—12 საათ.

**ა. ტ. მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 10—11 ს.

**ა. ი. გალარჯიშვილი.** ბავშვებისა, 9—10 ს.

**ლ. ზ. მონინი.** ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 2—1 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

**ტყეშელაშვილი.**—კბილის ექიმი იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 საათ.

ექიმი ქალი **მ. კ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 11—12 ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

**გრ. ვ. სობოლევსკი**—დისტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

**პ. ა. ბეიერი.** შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

სამკურნალოში ხდება ქიმიურ-მიკროსკოპიული ბაკტერიო-სკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

46—8 ტელეფონი № 274 (წ.)

---

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ,**—ქორღანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს—67 საათამდე.

**გძელიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვისა. № 5

**გაგაშვილი გრიგოლ,**—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**ვაჩაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**მარიამ ნიკოლოზის ასული ზაალიშვილისა,** მიხეილის პროსპექტი, № 145.

**დიასამიძე ალექსანდრე,**—მიხეილის პროსპექტი, სახლი დოლუხანოვისა, № 123.

---

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დ ი ლ ა ო ბ ი თ:**

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. გ. აფეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ვადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**კ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**ზ. ა. თარხანოვი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. კკრაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. სოლოლაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

**ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია).

**ზ. ს. ელმი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**ზ. ა. თარხანოვი.** $7^1/_2$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **კ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова. წლ.

---

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართვ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

## ქაჯანა
2.
## ალი

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Общество распрстр. грамотности.

---

გამოვიდა და ისყიდება

## კატალოგი

წარმოსადგენად ნება-დართულ ქართულ პიესებისა.

**ფასი 15 კაპ.**

ვისაც სურს ყიდვა, მიჰმართონ ქართულ დრამატიულ საზოგადოების კანტორაში ბ-ნ დავ. ნახუცრიშვილს (3—3)

---

ახალი გამოცემა «წერა-კითხვის საზოგადოებისა»

**გულივერის მოგზაურობა**

სვიფტისა, მრავალის სურათით. 168 გვ. ფასი 30 კაპ.

**გამოვიდა და ისყიდება**

შორეულ აღმოსავლეთის დაფერადებული

## ქართული რუკა

ცალკე გამოცემა გაზეთ «ივერიისა». ფასი სამი შაური.

ისყიდება რედაქციაში და ყველა ქართულს წიგნის მაღაზიაში.

---

**გამოვიდა და ისყიდება**

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამოცემანი:

## ვაი ჭკუისაგან

ა. გრიბოედოვისა, ლექსად თარგმნილი განდეგილისაგან.

ისყიდება აგრეთვე «წერა-კითხვის საზოგადოებაში» და «ცოდნის» წიგნის მაღაზიებში

## კატალოგი

წარმოსადგენად ნება-დართულ ქართულ პიესებისა.

## შექსპირის პიესები

თარგმნილები ივ. მაჩაბლის მიერ, რომელიც შეძენილი აქვს ქართ. დრამ. საზოგადოებას.

მსურველთ უნდა მიჰმართონ ქართულ დრამატიულ საზოგადოების კანტორაში ბ-ნ დავ. ნახუცრიშვილს.

(4—4),


---

ტფილისი, 31 ივლისი.

ჩვენს სათავად-აზნაურო სკოლას დიდის თანაგრძნობით და სიყვარულით უყურებს მთელი საზოგადოება, დიდი იმედი აქვს მისი. მართლადაც, ღირსია ეს სკოლა ამ სიყვარულისა და თანაგრძნობისა, რადგანაც ერთად-ერთი სასწავლებელია, სადაც ჩვენ ყმაწვილებს შეძლება აქვთ შესაფერი სწავლა მიიღონ.

იყო დრო, როდესაც სწავლა-განათლებას ჩვენს ქვეყანაში დიდი ფასი არა ჰქონდა, და არა ჰქონდა ფასი მხოლოდ იმიტომ, რომ სწავლა-განათლებისთვის არავისა სცალოდა.

ეს ის დრო იყო, როდესაც მამულის შვილნი ქვეყნის აუარებელ მტერს იგერებდნენ. ვის ეცლებოდა შინ წიგნების ჩხრეკისთვის, როდესაც სამშობლო სულ სხვა, უფრო მძიმე და უფრო საჭირო სამსახურს თხოულობდა თვისთა შვილთაგან,—მათს სისხლს და ხშირად სიცოცხლესაც!

სწორედ ამითი აიხსნება ჩვენს წარსულს ცხოვრებაში ის შესანიშნავი მაგალითი, რომ ვაჟ-კაცებში ათში ერთმა თუ იცოდა წერა-კითხვა, მაშინ, როდესაც ქალები თითქმის ყველანი ჩინებულნი მწიგნობარნი იყვნენ და მცოდნე სამშობლო ლიტერატურისა. ეხლაც შეხვდებით არა ერთსა და ორს ღრმად მოხუცებულს დედაკაცს, რომელმაც მთელი «ვეფხის ტყაოსანი» ზეპირად იცის.

იმ დროს, რომელზედაც აქა გვაქვს ლაპარაკი, უსწავლელსაც შეეძლო ერთგულის სამსახურით დიდი სარგებლობა მოეტანა სამშობლოსათვის, დიდი სახელი და პატივი მოეხვეჭა. ამისათვის საჭირო იყო მტკიცე მკლავი, ბასრი ხმალი და გამბედავი გული.

იყო ამისთანა დრო, მაგრამ წარვიდა, განქრა და აღარ დაბრუნდება! შემდეგ სულ სხვა დრო დადგა და ამ სხვა დრომ თან სხვა მოთხოვნილება მოიტანა. ეხლა ბრძოლის ასპარეზზედ თოფ-იარაღი საჭირო აღარ იყო, სხვაფრივ შეიარაღებული უნდა გამოსულიყო ბრძოლის ველზედ ყველა, ვისაც გამარჯვება სურდა, და ეს იარაღი—სწავლა-განათლება იყო!

მას აქეთ, რაც ჩვენმა საზოგადოებამ იგრძნო ეს მოთხოვნილება ახალის დროისა, რომელსაც ვერსად წაუვიდოდით, თუ არ გვსურდა ჩამოვრჩენოდით ყველას უკან; როდესაც დარწმუნდა, რომ ერთად-ერთი იმედი ჩვენი მომავალში სწავლა-განათლება არის,—დაიბადა სურვილი, შესაფერი სწავლა მიენიჭებინა თავის შვილებისთვის და მიაწყდა სხვა-და-სხვა სკოლას. საუბედუროდ, ამ სურვილს წინ ბევრი დამაბრკოლებელი მიზეზი გადაეღობა და ჩვენი შვილები ნაკლებად შედიოდნენ სასწავლებლებში და ნაკლებადაც ამთავრებდნენ სწავლას.

ამ მიზეზთა შორის უპირველესი ის იყო, რომ შესაფერად ვერ ამზადებდნენ ბავშვებს სახელმწიფო სასწავლებლებში შესასვლელად. მაშინ, როდესაც მოქალაქეთათვის სრულიად ადვილი იყო თავის შვილების მომზადება, სოფლად მცხოვრები ჩვენი თავად აზნაურობა, ხელ-მოკლეობისა გამო, სრულიად უძლური იყო თავისის ხარჯით ისე მოემზადებინა შვილები, რომ შეგირდებით გატენილ სახელმწიფო სასწავლებლებში კონკურსით ეგზამენებში გამარჯვება დარჩენოდათ და ამიტომაც უმეტესი ნაწილი მათის შვილებისა რჩებოდა გაუბედურებული, სწავლა-განათლებას მოკლებული.

ასე იყო ეს საქმე და ამ გარემოებაში ვიყავით მაშინ, როდესაც, ვიმეორებთ, ყველასთვის ცხადი შეიქმნა, რომ იმ გამწვავებულ ბრძოლაში, რომელსაც სახელად უწოდებენ „ბრძოლას არსებობისათვის“, გამარჯვება იმას დარჩება, ვინც ცხოვრების ასპარეზზედ მეტის ცოდნით და უნარით გამოვიდოდა. ამ სენს წამლობა უნდოდა და ერთად-ერთი წამალიც ის იყო, რომ დაგვეარსებინა საკუთარი სკოლა. ამ აზრის განსახორციელებლად ჩვენის საზოგადოების წარჩინებულთა თავოსნობით შესდგა საზოგადოება, ესრედ წოდებული «ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოება ღარიბ მოსწავლეთა შემწეობისათვის», რომელმაც სწორედ ოცდა ხუთის წლის წინად დააფუძნა თავისი სკოლა. აზრი ამ სკოლის დაარსებისა ის იყო, რომ გაეადვილებინა ჩვენის თავად-აზნაურობისათვის მომზადება შვილებისა სახელმწიფო სასწავლებლებში მისაღებად და პირველ ხანებში მოსამზადებელ კლასებისაგან შესდგებოდა.

ამ აზრით და განზრახვით დაარსდა თავდაპირველად სათავად-აზნაურო სკოლა, მაგრამ, როგორც ხშირად მოჰხდება ხოლმე, განზრახვა ვერ აუსრულდათ: სახელმწიფო სასწავლებლები იმდენად გავსებული იყო შეგირდებით, რომ გარედან შეგირდებს ძნელად იღებდნენ, თუნდა კარგადაც ყოფილიყვნენ მომზადებულნი; საცა ჩვენ ათი და ოცი შეგირდის მიბარება გვსურდა, ერთის და ორის მიბარებასაც ვერ ვახერხებდით.

ამ გარემოებაში ჩავარდნილ «საზოგადოებას» მეტი გზა არა ჰქონდა, ან სკოლა უნდა გაეუქმებინა და ბავშვები ისევ უკან დაებრუნებინა მშობელთათვის, ან თანდათან კლასები მოემატებინა, რომ ბავშვებს იქვე განეგრძოთ სწავლა. „საზოგადოებამ“ ეს უკანასკნელი გზა ირჩია, ნელ-ნელა უმატა კლასები, და ეხლა ჩვენი სკოლა სრულ გიმნაზიად გადაიქცა, ამ გიმნაზიაში ოთხი მოსამზადებელი განყოფილებაა და რვა გიმნაზიური კლასი. შარშან, როგორც სჩანს «საზოგადოების» ანგარიშიდგან, ამ სკოლაში 680 ყმაწვილს უსწავლია და წელიწადში «საზოგადოებას» სკოლის შენახვა 100,000 მანეთამდე უჯდება.

ამოდენა ხარჯსა თხოულობს ჩვენი სკოლა და იხდის კიდეც ამ ხარჯს ჩვენი საზოგადოება. უნდა ვიკითხოთ მხოლოდ, ისე არის მოწყობილი სკოლა, რომ ამოდენა ხარჯს შესაფერი სარგებლობა მოჰქონდეს, თუ ეტყობა ზოგი რამ ნაკლი, რომლის მოშორებაც აუცილებლად ეხლავე საჭიროა?

გამოტეხით უნდა ვსთქვათ, რომ სკოლის ეხლანდელი მოწყობილება არ არის იმ გვარი, როგორიც სასურველია. რამდენიმე ნაკლი ეტყობა და ამ ნაკლის თავიდან აცილება უეჭველად საჭიროა, თუ გვსურს შემდეგშიაც ისეთისავე თანაგრძნობით უყურებდეს სკოლას ჩვენი საზოგადოება, როგორც აქამდის უყურებდა. რომ არ გავაგრძელოთ ლაპარაკი და წვრილმან ნაკლულევანებას არ გამოვეკიდოთ, დავასახელებთ მხოლოდ ერთს, რომელიც ყველას ცხადად დაანახვებს, რომ სკოლა ვერა ყოფილა ისე მოწყობილი, როგორც სასურველია. წელს, მაგალითად, მერვე კლასში 15 ყმაწვილი სწავლობდა. ამათში მხოლოდ 13 სცნო სკოლის გამგეობამ საკმაოდ მომზადებულად და ტფილისის სხვა-და-სხვა გიმნაზიაში გაჰგზავნა გამოცდისათვის ატტესტატის მისაღებად და ატტესტატი-კი მხოლოდ ერთმა მიიღო; დანარჩენი ყმაწვილები საკმაოდ მომზადებულად ვერა სცნეს გიმნაზიებში და უკანვე დაუბრუნეს სკოლას.

მგონი ეს მაგალითი საკმაო უნდა იყოს ჩვენის აზრის დასასაბუთებლად და ამიტომაც ჯერ-ჯერობით სხვების ჩამოთვლა საჭიროდ არ მიგვაჩნია, რადგანაც შემდეგში დაწვრილებით ჩამოვთვლით ყველა იმას, რაც, ჩვენის აზრით, აუცილებლად საჭიროა სკოლის ხეირიანად მოსაწყობლად.

ეხლა იმიტომ ჩამოვაგდეთ ამ საგანზედ ლაპარაკი, რომ გარემოება ხელს გვიწყობს. როგორც ვიცით, გამგემ სკოლისამ, პატივცემულმა ე. თაყაიშვილმა, თავი დაანება თავის თანამდებობას და სკოლის გამგე კომიტეტი მედგრად ეძებს მის მოადგილეს. ამ საქმეში კომიტეტს დიდი სიფრთხილე ჰმართებს, დიდად უნდა ეცადოს, ისეთი კაცი აირჩიოს სკოლის გამგეთ, რომელსაც ცოდნაც და გამოცდილებაც ნებას აძლევდეს მოახდინოს სკოლის საბედნიეროთ საჭირო ცვლილებანი.

ჩვენი რედაქცია მოვალედ სთვლის თავს, შეეხოს ამ საგანს და თავისი აზრი გაუზიაროს საზოგადოებას; ამ საგანს ჩვენ კიდევ არა ერთხელ დავუბრუნდებით და იმედი გვაქვს, რომ სხვანიც, ვისაც გული

შესტკივა ჩვენის სკოლისთვის, ვისაც მისი მომავალი ბედ-იღბალი აინტერესებს, არ დაიზარებენ და თავის აზრსაც გააცნობენ საზოგადოებას, რომ საგანი უფრო უკეთ გამოირკვეს.

ამით ვათავებთ დღევანდელ წერილს და შემდეგ შევუდგებით სკოლის მომავალ მოწყობის განხილვას.

## ომის ამბები

### დეპეშები და წერილები.

ფრანგულ გაზეთ «ტანის» კორესპონდენტი ამბობს, მე დარწმუნებული ვარ, რომ რუსებს შეუძლიანთ კვალად გაბატონდნენ ზღვაზედ მანჯურიის ნაპირს და ამისათვის საჭიროა ბალტიის ესკადრა მალე გაჰგზავნონო. იაპონიაში ყველა ამტკიცებს, რომ ეს შეუძლებელია, ხოლო, რამდენადაც იაპონელებს ვიცნობ, ისინი იმიტომ ლაპარაკობენ შეუძლებლობაზე, რომ ეშინიანთ, მართლა არ მოვიდეს ესკადრაო.

ამბობენ, ბალტიის ესკადრა რომ მოვიდეს კიდეც, ამოდენა გზას უზიანოდ ვერ გამოივლის, სულ დაირყევა და შესაკეთებელ-შესასწორებელი ბევრი რამ ექმნებაო. იმ დრომდე პორტ-არტურიც დაემხობა და რუსის ესკადრას სადგომიც კი არსად ექმნებაო. ეს ლაპარაკი უსაფუძვლოა. დიდი გზა ბალტიის ესკადრას იმდენად ვერ შეარყევს და ვერ დააზიანებს, რამდენადაც ნახევარ წლის ომმა იაპონიის ფლოტი შეარყია. ესკადრის მისვლამდე პორტ-არტური რომ აღებული იყოს, ეს, რასაკვირველია, დიდად სამწუხარო ამბავი იქმნებაო, მაგრამ ბალტიის ესკადრა იმდენად ძლიერია, რომ იაპონიის ფლოტი წინააღმდეგობას ვერ გაუწევს და სადგომს ყოველთვის იშოვისო. ამიტომ ბალტიის ესკადრის გაგზავნა მეტად საჭირო და საჩქაროა. სხვაც რომ არა ვსთქვათ-რა, მარტო ის ამბავი, რომ ბალტიის ესკადრა გამოსულაო, თავზარს დასცემს იაპონიის ვაჭრობას. არავინ იაპონიასთან აღებ-მიცემობას აღარ დაიჭერს და ის აუცილებლად გაკოტრდება. რაკი რუსის ფლოტი ზღვაზედ გაბატონდება, იაპონიის ლაშქრები იძულებულნი გახდებიან ხმელეთი მიატოვონ და შინ დასაბრუნებელი გზა მოსძებნონ. ამით ომს ბოლო მოეღება. (პ. ვ.).

—

ტოკიოდგან დეპეშით ატყობინებენ გაზეთ «ნაციონ. ცაიტ.»-ს, იაპონელები განგებ ავრცელებენ ხმას, ვითომ იმათი ჯარი მხოლოდ 13 დივიზიისაგან შესდგებაო და ნამდვილად კი 20 დივიზია ჰყავთო. ხუთი დივიზია პორტ-არტურთან არის და ამ ციხე-სიმაგრის აღებასა სცდილობს. როგორც ამბობენ, ლიაოიანსა და პორტ-არტურზე იაპონელები ერთს დღეს მიიტანენ იერიშს და აიღებენ კიდეცო.

იაპონელებს რომ მართლა მეტი ჯარი შეუგროვებიათ, ამას გაზეთი «კელნ. ცაიტ.»-ც მოწმობს. სათადარიგო ჯარში გაწვეულია 80 ათასი კაცი.

იაპონიის ჯარს აფიცრები ნაკლებადა ჰყავს, თუმცა კადეტთა კორპუსების უფროს კლასებში მოსწავლეთაც, კურსის დამთავრებამდე, აფიცრობა მისცეს. (რ. ვ.)

—

ნიუ-ჯუანიდგან იწერებიან, იაპონელებმა პროტესტი გამოაცხადეს იმის გამო, რომ რუსების ქონების დაცვა ამ ქალაქში საფრანგეთის კონსულმა მიიღო. მეტადრე უადგილოდ მიაჩნიათ რუსეთ-ჩინეთის ბანკის ქონების დაპატრონება, მით უმეტეს, რომ საფრანგეთის კონსულს ამ ბანკის განმგებლობა ომის გამოცხადების შემდეგ ჩაბარდაო. (იქვე).

—

ერთი ავსტრიელი კორესპონდენტი, რომელიც ჩინეთის სამეფო სასახლესთან ძალიან დაახლოვებულია თურმე, იწერება, ჩინეთის დედოფალს თანდათან სიბერე დაეტყოო. ბოლოს დროს სახელმწიფო საქმეებს ისეთის ყურადღებით ვეღარ ისმენს, როგორც წინად, და მათ გადაწყვეტას თვით იმპერატორს ანდობს. თითონ კი ეხლა ბაღსა და ბაღჩაში დაფუსფუსებს და დროს ყვავილების მოვლაში ატარებს. კორესპონდენტი ამბობს, სასახლეში ჰფიქრობენ, ამ წლის დამლევამდე იმპერატრიცა სრულიად მოიცილებს მზრუნველობას სახელმწიფოსათვის და მთლად ამ ტვირთს იმპერატორს მიანდობსო.

ჩინეთის იმპერატრიცის გადადგომაზედ არა ერთხელ აღუძრავთ ლაპარაკი, და ეს ღონისძიება დიპლომატიურ ხერხად მიაჩნიათ, როდესაც ჩინეთს გაჭირვება დაადგება. (ნოვ.).

—

18 ივლისის ბრძოლაში სოფელ კანგუალინთან, სხვათა შორის, მსუბუქად დაიჭრა 124 ქვეითა ჯარის ვორონეჟის პოლკის პოდპოლკოვნიკი ნიკოლოზ ლორთქიფანიძე. (რ. ს.).

## ტფილისი

*** ამას წინად ტფ. სათავად-აზნაურო სასწავლებლის გამგე-კომიტეტმა, ბ-ნ ექვთიმე თაყაიშვილის მაგიერ, რომელმაც სასწავლებლის ინსპექტორის თანამდებობას თავი დაანება, დეპეშით სთხოვა პროფესორს ვასილ პეტრიაშვილს, ეკისრნა სკოლის ინსპექტორობა, მაგრამ პროფესორმა პეტრიაშვილმა უარი შემოსთვალა. გუშინწინ, 29 ივლისს, საღამოს, კრება ჰქონდა სკოლის კომიტეტს ამის გამო და სათავად-აზნაურო სკოლის ინსპექტორის თანამდებობის აღმასრულებლად არჩეულ იქმნა ამავე სკოლის ქართულ ენისა და ისტორიის მასწავლებელი ბ-ნი ივ. რატიშვილი.

*** 27 ივლისს კრება ჰქონდათ იმათ, ვინც განიზრახეს ამხანაგობის შედგენა მომავალ სეზონში ქართულ წარმოდგენების გასამართავად. კრებამ საჭიროდ სცნო 2,000 მანეთის შეკრება. ამხანაგობის თვითოეულმა წევრმა უნდა შეიტანოს ხუთ-ხუთი თუმანი. ჯერ-ჯერობით ჩაეწერა 35 კაცამდე. კრებამ აარჩია სამი კაცი—ვალ. გუნია, ი. ცინცაძე და ს. ფირცხალავა და დაავალა ამათ რეპერტუარის შედგენა.

*** ტფილისის ქალაქის თვით-მმართველობამ სამჯერ აღძრა შუამდგომლობა ავლაბარში პროგიმნაზიის დაარსების შესახებ. ერთი შუამდგომლობა აღძრულ იქმნა საერო განათლების მინისტრის ვანნოვსკის დროს, მეორე—ზენგერის დროს და მესამე—ეხლანდელ მინისტრის გენერალის გლაზოვის წინაშე. ორი შუამდგომლობა სამინისტრომ არ შეიწყნარა და, პროგიმნაზიის ნაცვლად, სამოსწავლო ოლქის მზრუნველის აზრის თანახმად, სამინისტრომ საუმჯობესოდ სცნო ტფილისში დაეარსებინათ ოთხ-კლასიანი სატეხნიკო სასწავლებელი. ამავე დროს კავკასიის მთავარ-მმართებელმა საუკეთესოდ და სასურველად სცნო ტფილისისთვის საშუალო (8 კლასიანი) სატეხნიკო სასწავლებელი სამთამადნო განყოფილებით. საერო განათლების სამინისტროს ეხლა მოუწონებია ეს პროექტი მთავარ-მმართებლისა, ხოლო თვით-მმართველობის შუამდგომლობა მესამედ უარ-უყვია. სამინისტროს დაუვალებია სამოსწავლო ოლქის მზრუნველისათვის, აცნობოს ეს გადაწყვეტილება ქალაქის საბჭოს და წინადადება მისცეს, განიხილოს საგანი ხსენებულ საშუალო სასწავლებლის დაარსების შესახებ. სასწავლებელს პირველ ხანს დასჭირდება 350,000 მანეთი. ქალაქმა ამის ნახევარი უნდა იკისროს და ამას გარდა, მესამედი ყოველ წლიურ ხარჯისა.

*** ტფ. მოქალაქეთა გამგეობამ 21 ივლისს თავისს სხდომაზედ დაადგინა, ამოწერილ იქმნას მოქალაქეთა სიიდგან ქეთევან ისაკის ასული არშინაშვილი, რადგანაც არშინაშვილებზედ დარჩენილი გადასახადი (ნედოიმკა) არ არის. არშინაშვილის ასული უმაღლესს სასწავლებელში აპირებს სწავლის განგრძობას. ამას გარდა, მოქალაქეთა გამგეობამ ხარჯის გადამხდელთა სიიდგან ამოიცვა 15 სული, რომელთაც სხვა-და-სხვა უმაღლესს თუ საშუალო სასწავლებელში სურთ შესვლა. ეს დადგენილებანი 26 ივლისს წარედგინა დასამტკიცებლად ტფ. გუბერნატორს.

*** ტფილისის მიხეილის საავადმყოფოს უფროსმა ექიმმა აცნობა ტფ. გუბერნატორს, რომ დარუბანდის ბოქაულის თანაშემწე ჩაევსკი, რომელიც ამას წინად იქმნა გამწესებული ამ თანამდებობაზედ, სულით ავადმყოფი აღმოჩნდა და, დარუბანდის პოლიცმეისტერის განკარგულებით, ტფ. საავადმყოფოში გამოიგზავნა და კიდეც მივიღეთო.

*** მომავალ სამოსწავლო წლიდგან ტფ. სამხატვრო სასწავლებელში არსდება მოსწავლეთათვის სამკითხველო, რისთვისაც სასწავლებლის საბჭომ 300-ზედ მეტი რუსული უცხო ენის წიგნები გამოიწერა.

*** გზათა მინისტრის ბრძანებით, ამიერ-კავკასიის რკინის გზიდან ამიერ-ბაიკალის გზაზე (ციმბირში) უნდა გაიგზავნოს 10 სადგურის უფროსის თანაშემწე და 14 კონდუქტორთა ბრიგადა.

*** აგვისტოს პირველ რიცხვებიდგან შეუდგებიან გოლოვინის პროსპექტისა და ბარიათინსკის ქუჩის აღმართის ახალ სისტემით მოკირწყვლას.

## საქართველოს ამბები

*** დღეს, 31 ივლისს, სად. გომში, გორის მემამულეთა სინდიკატის სადგომში, ქართულ თეატრის მსახიობი ბ-ნი კოტე ყიფიანი, ქ-ნ ალ. კარგარეთლის მონაწილეობით, გამართავს ქართულს წარმოდგენას. წარმოდგენილი იქმნება «თავის ბრალია», ვალ. გუნიასი და «ადვოკატთან», მისივე. წარმოდგენა დაიწყება საღამოს $8^1/_2$ საათზედ.

*** გელათიდგან „ცნობის ფურცელს" დანამდვილებით ატყობინებენ, რომ მონასტრიდგან ქურდებს შემდეგი ნივთები წაუღიათ: 1) ოქროს ბარძიმი, 2) ორი ვერცხლის ბარძიმი, 3 პანაგია, 4 სამღვდელ-მთავრო შესამოსელი ქამარი, 5) დავით აღმაშენებლის ოქროს ბეჭედი და 6) ფულად 252 მ. 52 კ.; წინანდელ ნომერში მოხსენებული ვეირგვინები, თამარ მეფის კოშები და სხვა ნივთები ხელუხლებელი დარჩენილა, ამასთან ერთი ავაზაკი, გვარად ბალანჩივაძე, პოლიციას კიდეც შეუპყრია, სხვების დასაჭერად საგანგებო ღონისძიებანია მიღებული.

*** ქუთაისის გუბერნიაში წელს სამხედრო ბეგარის მოსახდელად გაიწვევენ, როგორც მთავრობის-მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშიდგან სჩანს, 3,727 კაცს, ხოლო ტფილისის გუბერნიიდგან, ზაქათალის ოლქითურთ—3,416 კაცს; ბათუმის ოლქიდგან წელს ყველაზე ნაკლებს გაიწვევენ—43 კაცს; თერგის ოლქიდგან—720 კაცს (ამათში 100 კაცი ოსი იქნება).

*** ქუთაისიდგან «ნოვ. ობოზ.»-ს სწერენ, რომ თოფურიასეული საავადმყოფო ახლო მომავალში დაიწყებს წინანდელებრ მოქმედებასაო. ყველა აპეკუნები დათანახმებულან ქუთაისის ქალაქის გამგებობის-მიერ შემუშავებულ პროექტზედ.

*** სოფ. მარტვილიდგან (სამეგრელო) გვატყობინებენ, რომ იქაურს გლეხობას პირი შეუკრავთ, მხოლოდ გლეხების მამულში ვიმუშაოთო და დღემდე მტკიცედ ადგიან თავიანთ განზრახვას. ამ რიგად, თავად-აზნაურთა მამულები დაუმუშავებელი დარჩენილა. ამიტომ, თავად-აზნაურთ რაკი დაინახეს, რომ იმათი მიწები უხვნელ-უთესველი რჩებოდა, იმათაც შეჰკრეს პირობა და თავიანთს მამულს თვითონვე ამუშავებენ.

*** ფოთიდგან გვატყობინებენ, რომ «ნადეჟდას» ამხანაგობის აგენტის ბ-ნ ლავრენტი მგელაძის ერთი გამძარცველთაგანი უკვე დაუჭერიათ და უპოვიათ ბ-ნ მგელაძის საათი და საფულე ქისა.

*** გორის მაზრის უფროსმა წარუდგინა ტფილისის გუბერნატორს დასამტკიცებლად ნიხრი პურისა და ხორცისა დაბა ბორჯომისა და სოფ. ცაგვერისა და ბაკურიანისათვის.

*** ხვალ, 1-ლ აგვისტოდგან, კავკავში დაიწყებს წესიერ მოძრაობას ელექტრონის ტრამვაი.

*** ახალქალაქის მაზრის უფროსმა აცნობა ტფილისის საგუბერნიო სამმართველოს, როგორც გამოირკვა, სა ქონლის ჭირი სოფ. ხერთვისში შემოტანილ იქმნა ახალციხის მაზრის სოფ. ლაშეთიდგანაო. დამნაშავე პასუხის გებაში იქმნა მიცემულიო. ახალციხის მაზრის სოფ. კორხში კი საქონლის ჭირი სოფ. დელისკიდგან გადაუტანიათ. დამნაშავე აქაც პასუხის გებაშია მიცემულიო.

—

**ბათუმი.** არსად ჩვენის კუთხეულ ქვეყნის კუთხეში არ შეუძლია ჰნახოს ადამიანმა ისეთი სულისა და გულის აღმაშფოთებელი, სულ ახალგაზადა, ნორჩის ქალების გაუბედურების სურათები, როგორც ბათუმში. ასეთი სურათები, რა ეროვნებასაც უნდა ეკუთვნოდნენ უბედურნი მსხვერპლნი ულმობელ ცხოვრების ვითარებისა, ერთგვარად შესაწუხებელია შეგნებულ ადამიანისათვის. მაგრამ უნდა გამოვტყდე, როდესაც ვხედავ, რომ ეს უბედურნი მსხვერპლნი ბათუმში თითქმის ყველანი არიან ჩემ მშვენიერ ტურფა სამშობლოს ჯერ ისევ გაუშლელ-გაუფურჩქვნელნი ტურფა ასულნი, გული ნაღველით მევსება. და ეს ნაღველი მით უფრო მიცხოველდება, რომ ამ მოვლენას ისეთი ღრმა ფესვი აქვს გადგმული ჩვენის ცხოვრების ნიადაგში და ისეთ მიზეზთაგან არის წარმოშობილი, რომ მისი პალიატიურ ღონისძიებით მოსპობა ცარიელი ოცნებაა. დღევანდელ ცხოვრების უკიდურეს წერტილამდე მიღწეულმა ეკონომიურმა გაჭირვებამ ხსენებულ მოვლენას ყველგან მისცა მიზეზი, მაგრამ ბათუმი მაინც ამ მხრივ არა ჩვეულებრივია ჩვენს ქვეყანაში.

ამ ნორჩს ქალაქში, რომელსაც სულ ოცდა ხუთი წლის ისტორია აქვს, თავს იყრის ყოველ გვარი შრომა-ვაჭრობა-მრეწველობის წარმომადგენელი. გურიიდან კი, ამ მახლობელ, ეკონომიურად შევიწროებულ კუთხიდან, აქ მოდის, ქარხნის მომუშავეთა გარდა, დიდ ძალი ნორჩი ახალგაზდობა, ქალი და ვაჟი, რომელნიც ეძებენ მოსამსახურეთა ადგილებს და სხვა და სხვა სამუშაოს. როცა დაინახავთ ამ საცოდავებს, ქუჩაში მოსიარულეთ, ადგილის მაძებართ შიმშილისაგან ქანც-გაწყვეტილ და ფერ-მიხდილთ, მაშინ იგრძნობთ, თუ რა სიღარიბესა და სიღატაკეს უნდა განიცდიდნენ მათი მშობელნი, რომ გულიდან იგლეჯენ ჯერ ისევ ნორჩ, გამოუცდელ არსებათ,—ღვიძლ შვილებს და ჰგზავნიან ბათუმში, სადაც ელით პირველ ხნობით შიმშილწყურვილი და ყოველ გვარი გაჭირვება, მერე ზნეობრივი დაცემა და ბოლოს ათას გვარ სენით სიცოცხლის მოწამვლა და მოსპობა...

ახალგაზდა ბიჭები აქ, ქარხნებს გარდა, დგებიან სასტუმრო-რესტორანებში და დუქნებ-ყავახანებში, სადაც წლიდან წლობამდე შრომით და უძილო ღამეებით ქანცს იწყვეტენ.

რაც შეეხება ახალგაზდა, ნორჩ ქალებს,

---

## ფელეტონი

### ორი სურათი.

(შემდეგი *)

### II

დადგა თხუთმეტი მაისი, შუადღე გადასულიყო. მზე ცის დასავლეთისაკენ მიეშურებოდა,—თითქოს თავის მიერ დაყენებულმა სიცხე-პაპანაქებამ შეაწუხა, და ეხლა სურს დედა მიწის იქით სამდე ჩრდილოში შეაფაროს თავიო.

მართლა ისეთი საშინელი გვალვა და სიცხე იდგა, რომ კარგა ხანია ტფილისს ასეთი ჯოჯოხეთი არ ენახა.—სასახლის ქუჩა და ბულვარი დაცალიერებულიყო, შეწყვეტილიყო ჩვეულებრივი ხალხის მოძრაობა და «პურლევინოს» სასტუმროსთან «სალაყბოზე» აღარ გაისმოდა ბულვარის მტკეპნელთა და ჩინოსანთა დაუსრულებელი კამათი და სიცილხარხარი. არსად ჩამი-ჩუმი არ იყო. თითქოს ქალაქი სიცხისაგან გარინდულა და სალათას ძილს მისცემიაო. იშვიათად «კონკა» თუ გასრიალდებოდა ორი თუ სამი «პასაჟირით», რომელსაც ძლივს მიათრევდნენ დამქლევებული, ფერდებ შეცვინული ცხენები. თავ-დაღუნული, ყურებ ჩამოყრილი მიაფრატუნებდნენ საცოდავად ფეხებს. მეკონკის შოლტი თუ გამოაფხიზლებდა ხან და ხან, თორემ ჩვეულებრივი დამაყრუებელი ხარის რეკა აღარ ისმოდა. აქა იქა თვალს თუ მოჰკრავდით ვისმე, ისიც საქმის კაცი თუ იქნებოდა სადმე მიმავალი. დაინახავდით კიდევ შუა ქუჩაზედ მიმავალს, წელში მოღუნულს, პირუტყვივით დატვირთულს—მუშას: გულ-გადაღეღილს, საკინძე ჩამოხსნილს, რომელსაც ხვითქი გადასდიოდა სახეზედ და ოფლი მსხვილ წვეთებად ეცემოდა გახურებულს ქვებზე. მაღაზიის პატრონები, უმუშტრობისა გამო, მოწყენილები ისხდნენ სკამებზე ფარდა ჩამოშვებულ ღია კარებთან და თავს ვეღარ იმაგრებდნენ ძილისაგან.—ქათმებივით თვალსა ლულავდნენ, რომელსაც, ოდნავ ხმაურობაზე, უცებ გაახელდნენ ხოლმე—ეგონათ მუშტარი მოდისო,—მაგრამ, რა დარწმუნდებოდნენ, რომ მუშტარი არსად იყო, ისევ ისე თავს ჩაქინდრავდნენ.

სამხედრო მუზეის მხარეს გაჭიმულს ტროტუარზე, რომელსაც, არ ვიცი, რა მიზეზისა გამო, ტფილისელები არა სწყალობენ და უფრო მეორე მხარეს ეტანებიან, ჩქარის ნაბიჯით მოდიოდა ერთი კაცი, წელში ცოტა მოხრილი, ახალოხის ამარა, რომელსაც ეტყობოდა, რომ ხელოსანი უნდა ყოფილიყო. თავზე ეხურა თითქმის ყურებამდის ჩამოცმული შავი მაუდის ქუდი. მარჯვენა მხარზე გადაგდებული ჰქონდა შეკეცილი შავი ჩოხა და მარცხენა იღლიაში ამოდებული ჰქონდა ქაღალდივით დახვეული საჩქმე ტყავი. ეტყობოდა, რაღაც ღრმა ფიქრში უნდა ყოფილიყო გართული, რადგან სიარულის დროს არც ერთხელ მაღლა არ აუხედნია და სულ ფეხებ წინ იყურებოდა. სახით თუმცა გამხდარი არ იყო, მაგრამ ისეთი ჩაყვითლებული ფერი ედო, რომ სინათლეს მოკლებულს სარდაფში გაზრდილს მცენარეს მოგაგონებდათ. ცოტა ჭაღარა შერთული შავი წვერი მოკლედ ჰქონდა დაყენებული. სქელი, ძირს დაშვებული ულვაშები მის სახეს სასტიკ სანახაობას აძლევდა. სახე უდროოდ ჰქონდა დანაოჭებული და ეტყობოდა, რომ მწარე ბედს თავისი დაღი უკვე დაესვა და დაეჩნია ამ ჯერ სულ ახალგაზრდა კაცისათვის, რადგან ის სულ 29 წლისა იყო და შეხედულობათ კი ორმოცის წლისა გეგონებოდათ.

გაიარა სასახლის ქუჩა, ერევნის მოედანი, მერე სიონის ქუჩისაკენ ჩაუხვია და ბოლოს ჩავიდა ერთ რაღაც სარდაფში. ეს იყო მისი სახელოსნო, სადაც გაატარა მან ეს უკანასკნელი რვა წელიწადი წაღებისა და ბაშმაკების კერვაში. ამ სარდაფს ქუჩის პირისაკენ დაყოლებული ჰქონდა ორი პატარა ფანჯარა. ამ ფანჯრებშიაც ოდნავ შედიოდა სინათლე, რადგან ქუჩიდგან თითქმის მთლად იყო მტვერით ამოვსებული. ამისა გამო სახელოსნოს კარები ზამთარ ზაფხულ მუდამ ღია იყო, რომ სინათლე იქიდგან მაინც შესულიყო. ზედ შუა ალაგას, კარებთან ცოტა ახლოს, იდგა სამუშაო დაზგა, რომელზედაც სხვა და სხვა სამუშაო იარაღი ელაგა: ჩაქუჩი, გაზი, ტყავის საჭრელი დანა, მახათი, შპილკებით სავსე თუნუქის კოლოფები და ათასი სხვა რაგინდარა, სულ ერთი-ერთმანეთზე მიყრილი და არეული. დაზგის აქეთ-იქით იდგა ორი «ტაბურეტკა», რომლის საჯდომს, ფიცრის მაგიერ, თასმებად დაჭრილი ტყავის ნაქსოვი შეადგენდა. ერთი დანიშნული იყო უმფროსი ხელოსნისათვის და მეორე კი—ასე 12—13 წლის შეგირდისათვის. კედლებზე გაკეთებული იყო თაროები, რომელზედაც სხვა და სხვა ზომის კალაპოტები იყო რიგზე ჩამწკრივებული. ბოლოს კედლებზე შეამჩნევდით აქა იქა ჩამოკიდულს ტყავებს და დაკერებულს ძველ ბაშმაკებს.

ჩასვლისათანავე გიორგიმ ტყავი დაზგაზე დაავდო, ჩოხა ლურსმანზე ჩამოჰკიდა და ზედ რაღაც ძველი ტილოს ნაჭერი გადააფარა, ოფლი მოიწმინდა, მერე შეგირდს გადახედა, რომელიც იქვე იჯდა და წაღას აკერებდა. მერე დაბნეულსავით აქეთ-იქით ყურება დაიწყო, თითქოს ეძებს, ან იგონებს რასმეო. გაიკეთა ფესტამალი, მოუჯდა დაზგას და ასე იყო პატარას ხანს გაჩუმებული. მერე შეგირდს მიუბრუნდა და უთხრა:

—რა ძალიან დაცხა, ეს ოხერი. აღე ერთი წყალი მომაწოდე, თორემ სიცხისაგან ლამის ყელი ამომიშრეს.

შეგირდი მარდად წამოხტა ფეხზე, იქვე მიწაში ჩაფლულ ქვევრიდგან კრუშკით წყალი ამოიღო და ოსტატს მიაწოდა. გიორგიმ წყალს ცოტა პირი წამოუქცია, ულვაშებზე ხელი გადისვა და ხარბათ დაეწაფა ცივ წყალს. თითქმის შეუსვენებლივ მთელი კრუშკა გამოსცალა, ღრმად ამოისუნთქა, ნაძირალი მიწაზე გადაღვარა და კრუშკა იქით გადასდო. მერე მუხლებზე სქელი ფიცარი გაიდო და შეუდგა ახლად მოტანილ ტყავის გამოჭრას.

გიორგი ღარიბაშვილის ცხოვრება, როგორც წარსულში, ისე ეხლა თითქმის არაფრით განსხვავდებოდა. როგორც წარ-

*) იხ. «ივერია» № 175.

იმათ კიდევ უარესი და უსაზარლესი დღე ადგებათ. ისინი პირველ ხანებში დგებიან ორი-სამი წლით უსასყიდლოდ სახლებში მოსამსახურეებათ. მთელ ამ ხნის განმავლობაში ეს საბრალონი ფეხ-შიშველნი და ტან-შიშველნი ასრულებენ ყოველგვარ ბრძანებას თავიანთი «ბატონებისას», ქუჩებიდან ვედრებით წყლის ზიდვიდან დაწყებული ქვაბების ხეხვამდე. ამ ვადის გათავების შემდეგ უნიშნავენ თვეში ორს, ბევრი ბევრი, სამ მანეთს მათის ტანისამოსით. ეს საცოდავი გროშები კი ტან-ფეხის სამოსათ არ ჰყოფნით. ამ დროს უკვე შეთქვირებულთ და წამოზრდილთ ან «ხაზეინები» უარშიყდებიან, ან ვიღაც ბიჭები, ან და შეუჩნდებიან მაჭანკალი ქალები, რომლებსაც საცოდავები გადაჰყავთ «უკეთეს ადგილებზე» ე. ი. თვეში ორი-სამი მანეთის მომატებით უყენებენ უცოლო კაცებს მოსამსახურეებათ. ამ «უკეთეს ადგილებზე» ისინი ესალმებიან იმას, რაც უძვირფასესი საუნჯეა ქალისათვის, ე. ი. ქალწულებას და უმანკოებას. აქედან კი ერთი ნაბიჯი რჩებათ თავი ამოჰყონ იქ, საცა სამუდამოდ ელიან მოწყვეტა «საზოგადოებისაგან».

ამ რიგად, საწყალ ქალებს საეჭვო სახლებში შესვლის მეტი გზა არ რჩებათ, რადგან, ჯერ ერთი «გარყვნილ და დაცემულთ» მოსამსახურეთ აღარ იყვანენ «პატიოსანი» ოჯახები და მერე სოფელშიაც ვერ მიდიან შერცხვენილნი და თავ-ლაფ დასხმულნი, მშობლების შიშით და იმ აზრით, რომ არ გახდნენ თავიანთ სოფელ-ქვეყნის კიცხვა-დაცინვის საგნათ.

ან კი რა უნდათ სოფელში?! განა სოფელი არ იყო, რომ გამოსტყორცნა ქალაქად ლუკმის საძებრად?!.. არის ისეთი მაგალითებიც, რომ რომელიმე მაჭანკალი და გარყვნილი ქალი გამოიყვანს ალაგიდან ნიშანში ამოღებულ ქალებს, ჯამაგირს უმატებს, ჩემთან დადექი მოსამსახურეთო და შემდეგ კი მიჰყავს, შეპირებულ მსურველებზე ჰყიდის იმათ ქალწულობას კარგ ფასად. ასეთის გათახსირების მსხვერპლი შეიქმნა ამ ერთის კვირის წინად 14—15 წლის ქალი, საოცარის სილამაზისა.

საზოგადოდ, ასეთია ხვედრი იმ ნორჩ, ცქრიალა და მკვირცხლ გურულ ქალებისა, რომელთაც სიღარიბისა და შეუძლებლობის გამო იგლეჯენ გულიდან და ისტუმრებენ ბათუმისაკენ მათი მშობლები თავის სარჩენათ და ბედის საძებრად. სამწუხაროა, მეტად სამწუხაროა ასეთი მოვლენა. ვინ იცის, სხვა გარემოებაში როგორი ცოლები და დედები გამხდარიყვნენ ეს ლამაზი, ნიჭიერი, მკვირცხლი და ცოცხალი არსებანი, რომელნიც ლუკმა პურის ძებნაში ჰღუპავენ თავიანთ ახალგაზრდობას, სიყვაწვილეს, უმანკოებას და სცვივიან გარყვნილების მორევში, სადაც სტოვებენ თავიანთ სილამაზეს, ჯან-მრთელობას და სიცოცხლეს!!..

სპ. ჭყონიძე.

—

**ᲗᲔᲚᲐᲕᲘ.** ფარულ ქურდობა-ტაციობას აღარა სჯერდებიან აქეთ და ცხადადაც ქურდობენ და ტაციობენ. ამას წინად ერთმა რუისპირელმა ვიღაც ლეკის გასასყიდი შეკაზმული ცხენი გაიტაცა და გაჰქრა. ამას წინად კიდევ ერთი უსიამოვნო ამბავი მოხდა: ბაზარში პურის სასყიდლად გაგზავნილი პატარა ქალი, ასე 11 წლისა, მოიტაცეს და სამიკიტნოებისკენ მიათრევდნენ. ქალის ყვირილზედ ხალხი შეიკრიბა და ქალი გადაარჩინეს უბედურებას. გაფითრებული, ცოცხალ-მკვდარი მიჰგვარეს დედას სახლში. ამავე დღეებში გასტეხეს ხეჩუევის საწვრილმანო დუქანი.

—

**Დ. ᲗᲘᲐᲜᲔᲗᲘ.** რაც მარტო ერთს მეღვინეს ჩვენს დალოცვილს დ. თიანეთში ღვინო-არაყით ვაჭრობისა ნება, მას აქეთ ისე კვირა უქმე დღე არ ჩაივლის, რომ მის დუქანში ან დუქნის წინ ჩხუბი არ მოხდეს. კვირას, ამ თვის 25, დამთვრალ ფშაველებსა და თიანელებს შორის, დუქნის წინ, ისეთი ჩხუბი იყო, რომ კინაღამ რამდენიმე კაცი იმსხვერპლეს. თუმცა პოლიციის «სტრაჟნიკები» იქ იყვნენ, მაგრამ ვერ მიჰბედეს და მოჩხუბარნი ვერ დააშოშმინეს. შემდეგ, როცა მოჩხუბართ გული იჯერეს ერთმანეთის ცემა-ტყეპით, მაშინ-ღა მიჰბედეს. ჩხუბის მოთავენი 7 კაცი დააპატიმრეს. ერთ თიანელ იასაულს თავი გაუტეხეს კეტებით, მეორე ხელში დაიჭრა. როგორც მოგეხსენებათ, მიზეზი წითელი კახური ღვინოა და მარტო ერთის დუქნის არსებობაა. ამ ერთ დუქანში იკრიფება ხალხი, ზოგი მტერი, ზოგი მოკეთე და ამიტომ უსიამოვნება ხდება.

19 ამ თვეს ს. ინოს-ძირში ხევსურმა ა. გოგოთურმა მოჰკლა ხანჯლით თიანეთის სტრაჟნიკი ფიდო ჩეკურაშვილი. საქმე ასე იყო: სტრაჟნიკის სიკვდილის ერთის კვირის წინად ხევსურეთში ხარები დაკარგულა. ბოქაულს ბ. ი. ოძიაშვილს თიანეთში რა გაუგია, დაუვალებია ფ. ჩ. ხარების მონახვა. ჩ-ს კვალი მიეტანა ს. გუროში ორ ძმაზედ, ს. და ა. გოგოთურებზედ, რომელთაც შეურაცხყოფა მიეყენებინათ ჩეკურაშვილისთვის. შემდეგ ჩ—შვილს წარმოედგინა თიანეთში ოქმის შესადგენად. ს. და ა. გოგოთურები არ გამოტყდნენ ამ ქურდობაში და სტრაჟნიკის შეურაცხყოფაში. ორის დღის დაპატიმრების შემდეგ, ბოქაულმა სხვა და სხვა მიზეზის გამო ძმები გაანთავისუფლა. ამ დროს ჩ—შვილი კი ხევსურეთში იყო. ბოქაულმა მეორედ დაიბარა ძმ. გოგოთურები ოქმის შესადგენად. თან წამოჰყოლოდა ჩ—შვილი, ხევსურეთის იასაული, ნაცვალი და ძმ. გოგოთურები. გზაზე, ს. ინოს-ძირში, დუქანში ესაუბრათ. შემდეგ ეთქვათ ჩ—შვილისთვის, რომ თიანეთში გული არა გვთხოვს, რომ «პრიშტავთან» მივიდეთო. ჩ—შვილი ბევრი ეხვეწა, მაგრამ ამაოდ. შემდეგ გამგელებულ ი. გოგოთურს ამოეღო ხანჯალი და შიგ მუცელში ჩაეკრა. საწყალი ფ. ჩ—შვილი 20 წუთის შემდეგ გარდაცვლილიყო. ძმ. გოგოთურები მაშინვე გაქცეულიყვნენ. იასაული, რომლის თვალწინაც განსვენებული ჩ—შვილი გარდაიცვალა, ჩამოვიდა თიანეთში ბოქაულთან და გამოაცხადა, რომ სტრაჟნიკი დასჭრესო. ბოქაული მეორე დღეს წავიდა ხევსურების დასაჭერად, მაგრა ამაოდ, იმათ უკვე ჯერ-ჯერობით თავს უშველეს. გამოძიება სწარმოებს.

დათიკო გოგიაშვილი.

—

**Დ. ᲮᲝᲜᲘ.** დიდი უსუფთაობაა აქ. ცხენის წყლიდან გამოყვანილმა სარწყავმა წყალმა-კი შეგვძლვნა უფრო. ყველაფერს უწმინდურობას შიგა ჰყრიან. ბაზარშია უფრო დიდი უსუფთაობა. ხოლერის მოლოდინში ასეთი თავის შეუდებლობა მეტის-მეტია.

სამკითხველო კარგად მუშაობს. აქამდე თუ ყურადღებას არავინ აქცევდა ჟურნალ-გაზეთებს, ახლა სულ ზედ ეტანებიან. არც-კი ჰყოფნით კითხვის მსურველთ, რაც გაზეთებია სამკითხველოში. სასურველია, რომ კითხვის დროს ნაკლები ხმაურობა და ხმა-მაღალი ლაპარაკი იყოს სამკითხველოში.

დ. ელუსაშვილი.

—

**ᲥᲕᲔᲛᲝ ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘ.** აქეთ მეტად ცუდი ამინდებია: ჯერ იყო გვალვა, რომელმაც სიმინდი სულ ჩააჭკნო. ახლა კი დაიწყო სულ დრუბლიანი დღეები და ხანდისხან კი მოდის ცოტ-ცოტა წვიმა. საზოგადოდ მოსავალს გლახა პირი უჩანს. სიმინდი ძვირია: 80 კაპეიკიდგან—1 მან. 20 კაპ. ადის. მუშა ხელიც ძვირია: 1 მ. —1 მან. 20 კაპ. ხილის მოსავალი ძლიერ ცოტა იყო: ნესვი და კიტრი სულ ნაკლებად მოვიდა.

ვასილ კაკაბაძე.

## ᲜᲐᲠᲙᲕᲔᲕᲘ

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ბ-ნ გრუზინსკის შემდეგი აქვს ნაამბობი «რუსკ. პრავდაში» ჩეხოვის შესახებ.

— გუშინ საინტერესო წერილი მივიღე ნ. მიხაილოვსკისაგანაო,—სთქვა ერთხელ ჩეხოვმა.

— რასა გწერთ?

— მწერს, ბევრს რასმე მოველითო შენის ნიჭისაგანაო; უნდა თავი დაანებო პატარ-პატარა ამბების წერას და უფრო დიდ მოთხრობათა შექმნას შეუდგეო. ეგ მოთხრობანი უნდა ჰბეჭდო დიდ ჟურნალებშიო. მერე კიდევ, უთუოდ თავი უნდა დაანებო «ნოვ. ვრემიას» და მისმა ყოველ-გვარი მუშაობა სუვორინის გაზეთშიო.

ამაზედ ჩეხოვს მიუწერია მიხაილოვსკისათვის, არავითარს ზიზღს არა ვგრძნობ «ნოვ. ვრემ.»-სადმი და, თუნდაც რომ ვგრძნობდე, მაინც არ გამიჭირდებოდა იქ წერა და მუშაობა, იმიტომ რომ ძლიერ ბევრითა ვარ დავალებული სუვორინისაგან და მისის გაზეთის მიტოვება ადვილი არ არის ჩემთვის: როცა ჯერ ყმაწვილი ვიყავ და ყველასთვის უცნობი, მინდოდა როგორმე პატარა ზევით თაროზედ ავცოცებულვიყავ, მაგრამ არავინ არ გამომიწოდა ხელი, არავინ არ დამეხმარაო. ეს შველა და დახმარება მხოლოდ სუვორინმა იკისრაო.

ჩეხოვმა რომ წერილის წაკითხვა გაათავა, გაჯავრებითა სთქვა:

რას ჩაცივდნენ ამ «ნოვ. ვრემიას»? აქ შეიძლება ასეთი ანგარიში ჰქონდეს კაცს: გაზეთსა ჰყავს, ვსთქვათ, 50,000 მკითხველი, «ნოვ. ვრემიას» თუ სხვ.; ამოდენა მკითხველთათვის, ან ცოტა-მეტ ნაკლებისათვის, ბევრად უფრო სასარგებლოა წაიკითხონ ფელეტონად ჩემი 500 უწყინარი და უვნებელი სტრიქონი, ვიდრე ის მავნებელი 500 სტრიქონი, რომელსაც გაზეთი დაჰბეჭდავდა, მე რომ ჩემი ნაწერი არ მიმეცა. განა ეს ცხადი არ არის? ამიტომ მე უფრო ბევრს გაზეთში ვიმუშავებ, სადაც კი მიმიწვევენ...

როცა მეორედ შეჰხვედრია ჩეხოვს ბ-ნი გრუზინსკი, უკითხავს:

— მიხაილოვსკიმ რა მოგწერა პასუხად?

— მომწერა მხოლოდ ორიოდე სიტყვა.

— სახელდობრ რა?

— აი რა: ანტონ, შენ ბოროტებას ემსახურებიო!

—

ამ ჟამად ბჭობაა სწავლა-განათლების მზრუნველთა პეტერბურგში. გაზ. «ნოვ.»-ს დიდი იმედი აქვს ამ ბჭობისა, კარგი რამ შედეგი მოჰყვებაო. გაზეთი ამბობს, რომ

მცხოვრებნი დიდის ნდობით ეკიდებიან იმ სკოლებს, სადაც ბავშვები დედა-ენას სწავლობენ. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ აკვნებით აკვნებულია სომხეთა სამრევლო-საეკლესიო სკოლები, მაჰმადიანთა მედრესეები და ებრაელების ხედერები. შემოღება ადგილობრივ დედა-ენათა რუსულთან ერთად სკოლებსა და სასწავლებლებში დიდს სამსახურს გაუწევს, როგორც სასკოლო ფულის მატებას შემოწირულობით, ისე ჭეშმარიტ განათლების საქმეს.

გაზ. «ს.-პეტ. ვედ.»-ი დასძენს ამას:

ადვილად საფიქრებელია, რომ განაპირა ქვეყნების სწავლა-განათლების მზრუნველნი თავიანთ ბჭობის დროს ისეთს მიმართულებას მისცემენ ამ საგანს, რომელიც ეთანხმება სწავლა-განათლების ნამდვილს საჭიროებასო.

აგრეც უნდა იყოს. იმ სკოლას, საიდანაც გამოდევნილია დედა-ენა ერისა, ეს ერი თანაგრძნობას ვერ გაუწევს, ვერ შეიყვარებს. ვინ იქნება ისეთი რეგვენი შვილი, რომ დედმამის მაგინებელს თანაუგრძნოს, სიყვარულით მოექცეს? ხოლო დევნა დედა ენისა იგივე დევნა და შეგინებაა დედ-მამისა, დედა-ქვეყნისა, მშობლის ერისა.

## ᲓᲔᲞᲔᲨᲐ

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

29 ივლისი.

**ᲢᲐᲛᲑᲝᲕᲘ.** ბორისოგლებსკის, მცენსკის, კრომსკის, და კირსანოვსკის პოლკებმა, რომელნიც შორეულ აღმოსავლეთს წავიდნენ, უარი განაცხადეს ქალაქისაგან გამართულს სადილზე დასწრებასა და საჩუქრებზედ. საბჭომ დაადგინა, ამისათვის გადადებული 4 ათასი მან. გადაიდოს ამ პოლკების ჯარის-კაცთა სახლობათა შესაწევნელად.

**ᲢᲝᲙᲘᲝ.** (რეიტერი). ადმირალმა ტოგომ რუსის ესკადრაზე იერიში მიიტანა. საშინელმა გამეხებულ ბრძოლამ საღამომდე გასტანა, ხოლო შემდეგ იერიში მიიტანა ნაღმოსანთა ფლოტილიამ. იაპონიის გემები წავიდნენ; დასტოვეს სადარაჯო გემი, რომლიდანაც შენიშნეს ჯავშნიანი გემები «რეტვიზანი» და «პობედა», ნავსადგურისაკენ მიმავალნი. რითი გათავდა ბრძოლა, ადმირალი ტოგო არ იუწყება.

**ᲑᲐᲥᲝ.** კონსულმა ასტრაბადში ბაქოს გუბერნატორს შეატყობინა, ასტრაბადის მიდამოებში ხოლერა გაჩნდა და 29 კაცი მოკვდაო როგორც აქ შეიტყეს, ხოლერა მეშედშიაც გაჩენილა.

**ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ.** დალაი-ლამა ლხასიდან გაიქცა, მაგრამ თავისი ბეჭედი დასტოვა. იონგხეზბანდი დარაჯებით შევიდა ლხასში. ის დიდის ამბით მიიღო ჩინეთის ამბანმა. იონგხეზბანდმა სთხოვა ამბანს, იშუამდგომლოს, დანიშნონ სამი ან ოთხი რწმუნებული თიბეთელთაგან და ამასთანავე შენიშნა, იქნება თიბეთლებმა დააჩქარონ მოლაპარაკება, თუ ამბანი მიაქცევს იმათ ყურადღებას, რომ ხელშეკრულობის დადგენილებაში მოხსენებულია, აღუდგინონ დანახარჯი და თუ ინგლისელებს შეაფერხებენ, მაშინ გადასახადი ფული გადიდდებაო.

**ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲘ.** პრიზრენის გუბერნატორი რეშიდ-ფაშა სამსახურს დაეთხოვა. ის პასუხის-გებაში მისცა მთავარმა ინსპექტორმა ხილმი-ფაშამ.—29 ივლისს ელიან პორტას პასუხს შეერთებულ შტატების მოთხოვნილებაზე.

30 ივლისი.

**ᲢᲝᲙᲘᲝ.** (ვოლფი). ოფიციალურად. ტალიენვანიდან სხვა და სხვა ნაირი მოხსენებანი გვიჩვენებს, რომ პორტ-არტურის ესკადრა 28 ივლისს დილით გავიდა ნავსადგურიდან, რის შემდეგაც საშინელი ბრძოლა მოხდა, რომელმაც საღამომდე გასტანა. მთელის ღამის განმავლობაში ჩვენს ნაღმის მმუსვრელს ფლოტილიას იერიში მიჰქონდა რუსის ესკადრაზე. 29 ივლისს, გათენებისას, შევნიშნეთ, რომ თითქოს «რეტვიზანი» და «პობედა» პორტ-არტურს დაბრუნდნენ.

**ᲩᲘᲤᲣ.** (რეიტერი). იაპონიის სამი ნაღმის მმუსვრელი ამ ჟამად ნავსადგურის შესავალში სდგას და სდარაჯობს რუსის ნაღმის მმუსვრელს „რეშიტელნის“. რუსის ესკადრა გამოვიდა პორტ-არტურიდგან ადმირალ სკრიდლოვის ბრძანებით.—ოფიციალური დეპეშა უარჰყოფს იმ მოხსენებას, ვითომ «პობედა» და «რეტვიზანი» დაზიანდნენ და ამიტომ შებრუნდნენ პორტ-არტურშიო. ოფიციალურ წყაროდგან შეუტყვიათ, რომ 16 გემი რუსებისა 28 ივლისს საღამოთი უნახავთ ჩიფუს ახლო. წყალში მავალი საავადმყოფო «მონგოლია» შანჰაისაკენ მიდიოდა. უკანასკნელ ყუმბარების სროლის დროს «რეტვიზანს» 17 ყუმბარა მოხვდაო, მაგრამ მცირედ დაზიანდაო. იაპონიის ესკადრა მთლად თავის ზარბაზნებს ესვრის დოკებსა, სადაც ასამდე გემია და საიდანაც ეხლახან გაიტანეს წამლის საწყობი. იაპონელებს საკმაოდ არა აქვთ საალყე წარბაზნები. ხმაა, ვითომ იაპონიის კრეისერი დაიღუპა კუნძულ კრუგლის ახლო. პორტ-არტურიდგან გამოსვლის დროს რუსის გემებმა წაიღეს თან დიდძალი სურსათ-სანოვაგე, მანქანები და მასალა გემების გასაკეთებლად. ნაღმის მმუსვრელ «რეშიტელნის» უფროსი ამბობს, რუსის გემები იმ განზრახვით გავიდნენ, რომ ვლადივოსტოკის ესკადრას შეუერთდნენო, მაგრამ სხვა კითხვებზედ კი პასუხს არ იძლევა. როგორც სხვა წყაროები გადმოგვცემს, ყველა დიდმა გემებმა «ბაიანის» გარდა, დასტოვეს პორტ-არტური 28 ივლისსა და იაპონელები და რუსები ესროდნენ შორიდგან ზარბაზნებს ერთმანეთსა. როგორც ეტყობა, საეჭვო არ არის, რომ პორტ-არტურისა და ვლადივოსტოკის ესკადრების შეერთება მოხდება. დაგუშანი, რომელიც პორტ-არტურს ახლოა, 26 ივლისს აიღეს იაპონელებმა, მაგრამ მეორე დღეს რუსებმა ისევ წაართვეს.

**ᲚᲘᲐᲝᲘᲐᲜᲘ.** (რეიტერი). ანშანხანში სიწყნარეა. რუსები ჰფიქრობენ, რომ იაპონიის ლაშქარი ასეა განაწილებული: რვა დივიზია მოდის მდინარე ლიაოხეს გასწვრივ, ხუთი რუსეთის პოზიციებისაკენ აღმოსავლეთად ალჰანამდე, ორიც მდინარე თაიიცეს ნაპირ-ნაპირ. სულ იაპონელებს ჯარი 250 ათასზე მეტია, აქვს ექვსასი ზარბაზანი მთის ზარბაზნებიანად. მდინარე თაითცეზე გადასვლის ცდამ ბენზიხთანა და მიტცესთან იაპონელებს ფუჭად ჩაუარა. მდინარეს ორგან აქვს ფონი, მაგრამ ფონებს რუსები დარაჯობენ. იაპონელნი გროვდებიან საიმაძთან. ისინი ეცდებიან გადაიარონ დალინის უღელტეხილი აღმოსავლეთად მუკდენიდან. ისინი ყველა იმ მოგზაურებს აპატიმრებენ, რომელნიც კი საეჭვოდ მიაჩნიათ.—რუსის აფიცრების დიდი ზარალი რუსის სარდლების სიმამაცის ნიშანია. ხშირად ვხედავდით რუსის აფიცრებს თეთრს კიტელში, რომელთაც იერიშზე მიჰყავდათ ჯარები. მომეტებული ნაწილი რუსის გენერლებისა ხიშტით ბრძოლასა რჩეობს. ჩინელები ამბობენ, როცა რუსებმა ხაიჩენი დასცალეს, იაპონელები ქალაქში კი არ შევიდნენ, არამედ წინ წაიწიესო. რუსეთ-ჩინეთის ბანკის განყოფილება ლიაოიანიდან გადაიტანეს თელანს. დედაკაცები დ ბავშვები გავიდნენ ლიაოიანიდან. კუნძულ ფორმოზიდან მოვიდა ნიუჯუანს იაპონიის დივიზია. ჩინელნი ეწევიან იაპონელებსა. დიდძალი ბრბოები ხუნხუზთა უწესობას ჩადიან.

**ᲛᲣᲙᲓᲔᲜᲘ.** (საკუთ. კორესპ.). როგორც იუწყებიან, 22 ივლისს მარცხენა ფრთაზე სინმინტინსა და ციანჩანს შორის ჩვენთვის სახეირო შებრძოლება ჰქონდა ჩვენს რაზმსა იაპონელებთან. ჩვენმა ჯარმა იაპონიის ორი ბატალიონი უკან დასწია და დაიჭირა დაფინდუშანის უღელტეხილი. ზარალი დიდი არ არის. 27 ივლისს, როგორც ხმა არის, ანშანხანთან დაიწყო ბრძოლა.

**ᲛᲐᲠᲘᲔᲜᲑᲐᲓᲘ.** ინგლისის მეფე მოვიდა. ოფიციალური დახვედრა-მიღება აკრძალული იყო.

**ᲑᲣᲓᲐᲞᲔᲨᲢᲘ.** პალატის კრებები 27 სეკდემბრამდე გადაიდო.

**ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ.** დეპეშა ხელმწიფის მოადგილის, გენერალ-ადიუტანტის ალექსეევისა მისის უდიდებულესობის სახელზედ 29 ივლისის თარიღით: «როგორც პორტ-არტურიდგან კომანდირი მაუწყებს, 28 ივლისს ესკადრა ზღვაში გასულა. გემი «მონგოლია» ესკადრას მიჰყვება. ზღვაზედ იყო იაპონიის 3 სათარეშო გემი 1 კლასისა, 8 პატარა სათარეშო გემი და 17 ნაღმოსანი. ნავთსადგურს ეს მეოთხე დღეა საალყე ზარბაზნებს უშენენ იაპონელები.

შორეულ აღმოსავლეთიდგან 29 ივლისს ოფიციალური ცნობები არ მოსულა.

**ᲩᲘᲤᲣ.** (რეიტერი). იაპონიის ორი კონტრ-ნაღმოსანი, ღამით შევიდა ნავთსადგურში და ღუზაზედ დადგა «რეშიტელნიდგან» 400 მეტრის მანძილზედ ნავთსადგურში შესვლის დროს იაპონიის

---

სულში ისე აწმყოში გაჭირების მეტს ვერას ხედავდა. უბედურის კაცისათვის წარსული და აწმყო არ არსებობს. ბედნიერს შეუძლიან მხოლოდ ან აწმყოთი ან წარსულ ბედნიერების მოგონებით დასტკბეს. უბედურის კაცის ცხოვრება ერთი გრძელი დაუსრულებელი კვნესაა და სიკვდილი—მისი საზღვარი. გიორგი ერთ დროს უბრალო გლეხის შვილი იყო, ობოლი, სოფლის მენახირე. ეხლა კი ის ტფილისში სცხოვრობდა და თავისი სახელოსნო ჰქონდა გამართული. რათ დაანება თავი სოფელს და რათ გამოიქცა ქალაქში? ამის გამოცნობა თვით მკითხველისათვის მიგვინდვია.

მუშაობდა გიორგი, მაგრამ მისი გულის ყური სულ სხვა საგანზე იყო მიქცეული. ეს ორი კვირა იყო მას აქეთ, რაც ცოლი ავათა ჰყავდა და ლოგინად იყო ჩავარდნილი. ისე წუთი არ გაივლიდა, რომ თვალ წინ არ გამოხატოდა მისი გამხდარი, გადაფითრებული სახე. გული უწუხდებოდა, რომ გარემოება ნებას არ აძლევდა ცოლთან დარჩენილიყო და ავადმყოფისათვის ნუგეში რამ მიეცა. რაკი ამას ვერ ახერხებდა, ხშირად გზავნიდა შეგირდს სახლში ამბის შესატყობად. ამით ცოტად მაინც მოიჯერიებდა ხოლმე გულს.

აი ეხლაც, თუმცა საღამომდის ბევრი დრო აღარა რჩებოდა, მაგრამ მაინც გულმა ვერ მოუთმინა, შეგირდს მიუბრუნდა და უთხრა:

— ადე, ვანო, ერთი ჩვენსა აიხედე და იმისი ამბავი შემატყობინე. დილას რომ წამოვედი, ეძინა და, არ ვიცი, ეხლა როგორ არის. მაგ წაღას, როგორც იქნება, მერე დააკერებ. ადე, შვილო, ადე! გული ვერ მიძლებს, რომ იმისი ამბავი არ გავიგო. ეჰ, მადლობ შენთვის, ღმერთო!

დაათავა გიორგმა ლაპარაკი და ისე ღრმად ამოიოხრა, რომ გეგონებოდათ გულ ღვიძლიც თან ამოადევნაო.

პატარა ვანომ წაღა იქით გადასდო, კალთები დაიბერტყა, კოხტა ნაბდის ქუდი დაიხურა და გაიქცა გიორგის ცოლის ამბის შესატყობად.

დუთ.

(დასასრული იქნება)

გემებს სროლა არ აუტეხიათ. იაპონიის მეზღვაურნი ავიდნენ რუსთა ნაღმოსან «რეშიტელნიზედ», რომელსაც სამხედრო იარაღი ახდილი ჰქონდა. რუსის ნაღმოსანსა და იაპონიის კონტრ-ნაღმოსნებს უკან მიჰყვებოდა კიდევ ორი იაპონიისავე კონტრ-ნაღმოსანი. იაპონიის კონსული ირწმუნება, რომ იაპონელთ არ იცოდნენ, თუ ნაღმოსანს «რეშიტელნის» იარაღი ახდილი ჰქოდნაო.

**შანჰაი.** (რეიტერი). როგორც ნაგასაკიდგან მიღებული დეპეშა იუწყება, რუსთა სამხედრო გემები მოსჩანდნენ კუნძულ კიუსიუს დასავლეთ ნაპირებში.

**ვილჰელმსგეე.** (ვოლფი). მოვიდა იმპერატორი ვილჰელმი, რომელსაც მიეგება იმპერატრიცა, კრონ-პრინცი და თავისი სხვა შვილები.

**ბელგრადი.** მინისტრთა საბჭომ გადასწყვიტა, რომ დაგვირგვინება მეფისა 8 სეკდემბერს იქმნებაო. სეკდემბრის დამდეგს მოწოდებულ იქმნება სკუპშჩინა საგანგებო სესიად, რათა ყოველს დეპუტატს შეეძლოს დაესწროს დაგვირგვინების დღესასწაულს. 1 ოკდომბერს დაიწყება ჩვეულებრივი სესსია.

**ტოკიო.** აქ მოვიდა მოხსენება, რომ უმეტესმა ნაწილმა რუსეთის პორტ-არტურის ესკადრისამ როგორღაც მოახერხა და წავიდა. სად იმყოფება ახლა ეს ნაწილი ესკადრისა, არ ვიცითო. ამიტომ ყოველივე მისვლა-მოსვლა იაპონიის სავაჭრო გემებიც დროებით შეჩერებულ იქმნა.

**ლონდონი.** ვლადივოსტოკის ესკადრა გავიდა ნავთსადგურიდან და გაემართა სამხრეთად.

**რომი.** «ტრიბუნას» კორესპონდენტს პარდოს მის სამხედრო კორესპონდენციების გამო წინადადება მისცეს რუსეთის მთავრობის წარმომადგენლებმა დასტოვოს ბრძოლის ველი.

---

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

---

### გამოსადეგი ცნობანი:

**პეტერბურგის ბირჟა**
27 ივლისი 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 94,00 |
| ბერლინში 100 მარკაში | $45,97^1/_2$ |
| პარიჟში 100 ფრანკში | — |
| ლონდონში ჩეკები | 94,80 |
| ბერლინში ,, | 46,30 |
| პარიჟში ,, | $37,52^1/_2$ |
| ბირჟის დისკონტი | $6—7^1/_2$% |
| 4% სახელმწიფო რენტა | $92^1/_4$ ნის. გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა | $88^7/_8$ წვ. გაყ. |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | $389^1/_2$ წვ. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 299 მყიდ |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა | $259^1/_2$ წვ. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| $4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. | — |
| $4^1/_2$% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა. | — |
| 6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. | — |

---


# განცხადებანი

**ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებელი** აცხადებს, რომ მიმდინარე წლის ენკენისთვისათვის 40 თავისუფალი ვაკანსია არის პირველ განყოფილებაში, რომელშიაც მიიღებიან 7 და 8 წლის ყმაწვილები; დანარჩენ განყოფილებებში და პროგიმნაზიულ კლასებში თავისუფალი ადგილი სრულიად არ მოიპოვება.

თხოვნების მიღება გაგრძელდება 25 მარიამობის თვემდინ.

თხოვნასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნეს აზნაურობის, წლოვანობის და ყვავილის აცრის მოწმობები. ყმაწვილების მიღება დანიშნულია 27 მარიამობის თვეს.

ხელმეორე გამოცდა, რომელიც მაისში დაენიშნა მოსწავლეებს, მოხდება 25 და 26 მარიამობის თვეს.

სწავლა დაიწყება 1 ენკენისთვეს.
(3—6—3)

---

ქ უ თ ა ი ს შ ი
ს. ბ. თოფურიას
**სამკურნალოში,**
რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდები სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.

---

**თელავის წმ. ნინოს დედათა სასწავლებლის გამგეობა** ამით, აცხადებს, რომ 1 ლ, მე-2 და მე-3 კლასებში, უადგილობისა გამო, მოწაფენი არ მიიღებიან. მოწაფეთა განმეორებითი გამოცდა მოხდება 25 და 26 აგვისტოს. მოსამზადებელ კლასებში მისაღები ეგზამენები დანიშნულია 27 და 28 აგვისტოსათვის. სახელმწიფო სტიპენდიის ერთი ვაკანსია განთავისუფლდა და მოწაფეს ამ ვაკანსიაზედ დახურულ კენჭის ყრით მიიღებენ, რომელიც დანიშნულია 5 სეკდემბერს. (2—უ—).

---

შავი ქვის მრეწველთა კრების
**საბჭო**
ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ნება დართვით, საბჭოს ეძლევა ნება დააარსოს დაბ. ჭიათურაში ამ წლის ენკენისთვიდან ექვს-კლასიანი
**საქალაქო სასწავლებელი,**
რომელსაც არ ექმნება მხოლოდ პირველი ორი განყოფილება.

იმ პირთ, ვისაც სურთ და აქვთ უფლება მიიღონ ადგილები: ინსპექტორისა, სამღვთო სჯულისა და მასწავლებლისა, საბჭო სთხოვს წარმოუდგინონ შავი ქვის მრეწველთა კრების საბჭოს ქუთაისში თვისი თხოვნები 26 ივლისამდე და ამავე რიცხვში, ამ თხოვნებთან ერთად, უნდა წარმოუდგინონ მოწმობანი იმის შესახებ, რომ აქვთ კანდიდატებს პრაქტიკა სწავლებაში, ქართულ ენაში და აგრეთვე ხაზვა-ხატვაში, თუ არა. წლიურ ჯამაგირებად დაენიშნებათ: ინსპექტორს—1760 მან. რჯულის მოძღვარს—480 მან., და მასწავლებელს—1008 მან. (3—6—3).

---

# ისყიდება

პრიუტთან ახლოს მამული: სახნავი, საძოვარი, სათიბი და ტყე საუკეთესო წყაროებით. წლიური შემოსავალი აქვს 400 მან., აგრეთვე მსურს გავყიდო სოფელს ტყვიავში (გორის მაზრა) ექვსი დესეტინა: ახლად გაშენებული ბაღი, სახლკარი და სახნავი მამულები. მსურველს შეუძლიან ცნობების შეტყობა ქ. ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ სათავად-აზნაურო სახლი **გრიგოლ კორინთელთან.** (5—5).

---

გამოვიდა და ისყიდება ხიდდეკელის წიგნის მაღაზიაში და სხვა წიგნის მაღაზიებში ტფილისში
**НАРОДНАЯ МЕДИЦИНА**
въ Закавказскомъ краѣ, ა. იაშვილისა, ფასი 70 კაპ.
(2—141—2).




---

გამოვიდა მეექვსე გამოცემა წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიის წიგნების
**კატალოგისა,**
რომელიც მსურველს შეუძლიან მიიღოს უფასოდ მაღაზიიდგან.

---



რ ო ი ა ი ლ ე ბ ი პ ი ა ნ ი ნ ო



ფის-გარმონები, სკრიპკები, გიტარები ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხ.-და-სხ.



ყველა ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.
პ რ ე ი ს კ უ რ ა ნ ტ ე ბ ი
მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო საკრავებისა.
**ბ. მ. მირიმანიანისა.**
**МУЗЫКАЛЬНОЕ ДЕПО**
**В. М. МИРИМАНІАНЪ**
**Тифлисъ, Дворцовая ул.**
(25—6—10)

---




**მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი**
**„ოდონ-ბრინი“ მ. ვ. ლ ებედევის“**

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენიმე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში —საათფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და ის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.

---

ქალაქი იურევი, ლიფლიანდიის გუბერნიაში.
**კერძო სავაჟო სასწავლებელი I რიგ. გუგო ტრეფნერისა**
მოსამზადებელის კლასითა და **პანსიონით.**

ამზადებენ შეგირდებს სხვა სასწავლებლებში შესასვლელად, უმაღლეს სასწავლებლებში ეგზამენების დასაჭერად და სამხედრო სამსახურისათვის. შეგირდები მიიღებიან ყოველ დროს, სწავლების ლის პირველსაცა და მეორე ნახევარსაც. წლოვანება არ აბრკოლებს შეგირდის მიღებას. ფასი სწავლისა და შენახვისათვის 110 მ. ნახევარს წელიწადში. ძმებისათვის ფასი ნაკლებია. დაიწყება სწავლა 16 მარიამობასთვეს 1904 წ. არზის შემოტანა შეიძლება ყოველ დროს. უფრო დაწვრილებითი ცნობანი შეიძლება პირადად და წერილობით მიიღოს მსურველმა ქ. იურიევში (ლიფლ. გუბ.), საკუთარ სახლში, კონნაია ქუჩა, № 2.

---

**საუკეთესო სააგარაკო ადგილები**
# ზედ სურამის მახლობლად
მაღლობს და ტყით შემოსილ მთებ შორის, სხვა და სხვა ხომისა,
# ისყიდება
იაფად და ხელ-მისაწვდომ ფასად.
იკითხეთ „ივერიის“ რედაქციის კანტორაში. (10—10)

---




ვერცხლისა




ოქროსი



ტფილ. გამოფენა.




# ქარხანა
ზეთიანის საღებავებისა (კრასკებისა)
**ა. ა. თ უ თ ა ე ვ ი ს ა**

თხუთმეტ ამ თვის ივლისიდამ შემოკვეთით ვამზადებ რკინის სახურავებისთვის და იატაკებისთვის (ДЛЯ ПОЛОВЪ) ყველა ხაირს ფერს ზეთით გაღესილს საღებავებ (краски). ვპირდები ყველას ჩემ ნაცნობს და უცნობს, რომ საღებავები იქნება უტყუარ და მაღალის ღირსების მასალით შეზავებული *), «ბელილა» და სხვა საღებავებიც გვექნება დამზადებული; ვინც მოისურვებს, ხელოსნებსაც გაუგზავნი, როგორც ტფილისში ისე სხვა ალაგას. მე თითონაც დაუხედამ საქმეს, თუ საჭირო იქნება. აგრეთვე ვიღებ სახლების აშენებას, მყავს ყველანაირი ხელოსნები, ეკკლესიის სახურავებისთვის სამღვდელოებას დაუთმობ პრეისკურანტის ფასებზედ ფუთი მანეთ ნაკლებ, საქონელი ფასდადებითაც გაიგზავნება 50% ბეის მიღებით. ჩემი ადრესი: ტფილისს, ალალო თუთაევი, ელისაბედის ქუჩა, დიდუბეში, საკუთარ სახლებში.

*) რადგანაც საღებავები ძნელი საცნობია და წასმის შემდეგ მალე ფუჭდება, ამისათვის მაღალის ღირსების მასალით შეზავებული საღებავი ერთი ხუთად მეტს გასძლებს. (20—7)

---



# ფეხსაცმელი
**ს.-პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,**
მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი, ქალისა, კაცისა და ბავშვისა.

**აგრეთვე მსწრაფლ-მავალები და სანდალიები. ყველა ამის შეძენა შეიძლება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების საუკეთესო მაღაზიებში.**

ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО
С.ПЕТЕРБУРГЪ.

**გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ საფაბრიკო ნიშანს.**

---

# ტყავის საქონელი
რუსეთსა და საზღვარ-გარედ დამზადებული, მრავლად არის
**ს ა ვ ა ჭ რ ო ს ა ხ ლ ი ს**
**„ლ ე ო პ ო ლ დ ნ ე ი შ ე ლ ლ ე რ“-ის საწყობში.**
ტელეფონი № 346. ერევნის მოედანი. (60—6—27).